



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N3**

ქ.ლანჩხუთი

17.02. 2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულო ფრაქცია, „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაზე, საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგებლის მოადგილე, ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, გამგეობის სოციალურ

საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ განმარტა, რომ რიგგარეშე სხდომის ფორმატში საკრებულოს სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადების საფუძველზე. სხდომაზე წარმოდგენილია სამი საკითხი, რომელთა განხილვაც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

3. „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან

აღნიშნა, რომ 2017 წელს რეგიონალური განვითარების ფონდიდან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება შემცირებულია დაახლოებით 1 011000 ლარით. აქედან გამომდინარე, ის დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ამოღებულ იქნა გეგმიდან. გეგმაში დარჩა მხოლოდ გარდამავალი პროექტები.

საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელ ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხაში სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩასმული იყო სკვერის გაკეთება, მიუხედავად იმისა, რომ სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის მოთხოვნა წლების განმავლობაში არის საბავშვო ბაღის აშენება. მას არაერთხელ გაუჟღერებია ბიუროს თუ საკრებულოს სხდომებზე აღნიშნული საკითხი. მუნიციპალიტეტის გამგებლისგან მიიღო პასუხი, რომ რეგიონალური განვითარების ფონდმა წლების უკან თავად გაწერა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის გაკეთების საკითხი. მან გასულ წლებში მრავალჯერ დააყენა საკითხი სუფსის საბავშვო ბაღის მშენებლობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებულიყო, რაზეც ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან თანხმობა მიიღო, მიუხედავად ამისა სუფსის ადმინისტრაციული ერთეულში ბაღის აშენებისთვის საჭირო თანხები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. მისი თქმით მოსახლეობა ამ ფაქტის გამოს არის აღშფოთებული და შეიძლება ამ ყოველივემ სხვანაირი განვითარება ჰპოვოს. დეპუტატის თქმით, იქნებ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოინახოს სახსრები და მოსახლეობის მიმართ სუფსის საბავშვო ბაღის მშენებლობის დაპირება ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეასრულოს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში გათვალისწინებული იყო სამი ბეტონის გზის დაგება. იგი დაინტერესდა აღნიშნული პროექტი სრულად განხორციელდება თუ არა.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ამ ეტაპზე მოხდება ორი ბეტონის გზის დაგება.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა არის სავალალო მდომარეობაში, რომელიც საჭიროებს აუცილებელ გადახურვას. მისი თქმით უნდა მოხდეს თანხების მოძიება და აღნიშნულ შენობას ჩაუტარდეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**, აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის მიმართულებით დაფინანსების შემცირება შემთხვევით არ არის გამოწვეული.

ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს ინფორმაცია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის ბანკროტი, ამიტომ უახლოს პერიოდში მას დაედება ყადაღა კრედიტორების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებების გამო. აქედან გამომდინარე მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და შეამცირა მუნიციპალიტეტის დაფინანსება.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. ინფრასტრუქტურული პროგრამების დაფინანსების შემცირება მოხდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ ეტაპზე ხელშეუხებელი რჩება გარდამავალი პროექტები, ხოლო დარჩენილი ინფრასტრუქტურული პროგრამების განხორციელება მოხდება მთავრობის მიერ „კვარტლის ბიუჯეტის განხილვის შემდგომ.

დეპუტატმა **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ სამედიცინო ცენტრ „ჯანმრთელობის“ მიმდებარე ტერიტორია არის სავალალო მდომარეობაში, კერძოდ წვიმიან ამინდში პაციენტებისთვის სამედიცინო დაწესებულებასთან მისასვლელი გზა ფაქტობრივად არ რჩება. მისი თქმით აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოინახოს ფულადი სახსრები და ეს პრობლემა მოგვარდეს.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ დაგეგმილი არის სამედიცინო ცენტრ „ჯანმრთელობის“ მდებარედ სკვერის რეაბილიტაცია. როდესაც დაიწყება სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე პარალელურად გაკეთდება აღნიშნული გზის მონაკვეთიც.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ მას არაერთხელ გაუჟღერებია ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე დუმბადის და ნათლისმცემლის ქუჩების პრობლემები, სადაც გადაადგილება ფაქტობრივად გაუსაძლისია. მიაუხედავად ამისა აღნიშნული ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები ამოღებულ იქნა გეგმიდან. იგი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ერთად შეხვდა აღნიშნული ქუჩის მაცხოვრებლებს, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ პრობლემის მოგვარებას.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:
მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 4 დეპუტატი (ნონა მურვანიძე , დარეჯან ბურჭულაძე, ელგუჯა ჩხაიძე, რომან ბიწაძე)
მიღებულ იქნა განკარგულება N10 (17.02. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ განხილული იქნა სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილი 2016 წლის 14 ნოემბრის #1308

წერილი, რომელიც ეხებოდა ანალიტიკური პროგრამით აღჭურვილი ვიდეო კამერებით განთავსების დაფინანსების საკითხს 49000 ლარის ოდენობით. განხილვის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალა ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს 30 000 ლარი. ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებისათვის გაიზარდოს ვალდებულებების კლების მუხლი 32375 ლარით და შემცირდეს არაფინანსური აქტივების მუხლი 15000 ლარით. ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ს სარგებლობაში გადასაცემი ოფისის კაპიტალური რემონტისათვის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე გამოიყოს 15000 ლარი, აღნიშნული ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფაზე მიიმართოს 2017 წლის 01 იანვრისათვის ბიუჯეტში არსებული ნაშთი 62375 ლარის ოდენობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის 18 იანვრის სხდომის და საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 2017 წლის 24 იანვრის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია არაფინანსური აქტივების მუხლის კლების (გაყიდვა) შედეგად მიღებული შემოსავლის გეგმა გაიზარდოს 150000 ლარით, რომელიც მიიმართოს მუნიციპალიტეტში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების 13 თვეზე დაგეგმას.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის 1 თებერვლის N24 წერილის საფუძველზე შემცირდეს სუბსიდიის მუხლი 1000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლის ხარჯი 1000 ლარით.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის 10 თებერვლის #14 წერილის საფუძველზე შემცირდეს სუბსიდიების მუხლი 1250 ლარი და შესაბამისად გაიზარდოს სოც. უზრუნველყოფის მუხლი. ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის გურიას მიერ წარმოდგენილი 2017 წლის 16 იანვრის #11 წერილი 115000 ლარის ვალდებულებების კლების დაფინანსების მოთხოვნაზე, განხილვის შედეგად დაზუსტებული თანხით დაფინანსება განხორციელდეს წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის დაფინანსების შემცირების ხარჯზე. ასევე განმეორებით განხილული იქნეს 2016 წლის 8 დეკემბრის #01/3730 წერილი მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** დააყენა წინადადება, რომ აღნიშნულ საკითხებზე ცალ-ცალკე ეყარათ კენჭი და ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ საკითხი გამოყოფილიყო ცალკე საკითხად.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ხელმძღვანელობის მიერ მოთხოვნილ თანხასთან დაკავშირებით გაიმართა განხილვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, სადაც დაფიქსირდა მოსაზრება, რომ ბანკის მიმართ წარმოშობილი ვალდებულება აუცილებლად უნდა დაიფაროს, ისევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს რომ არ მიადგეს ზიანი, ხოლო დანარჩენი მოთხოვნილი თანხა, რომელიც კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას ეხება, უარი უნდა ეთქვას, რადგან არის ინფორმაცია, რომ კლუბის დავალინება შეადგენს

800 000 ლარს. მისი თქმით, ამ თემით აუცილებლად უნდა დაინტერესდეს გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური, რომლის მიერ უნდა მოხდეს საფუძვლიანი აუდიტის ჩატარება და დადგინდეს არის თუ არა ეს დავალიენებები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დასაფარი. ასევე ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 700 000 ლარიდან 80 000 ლარი გადახდილია ძველ დავალიენებებზე და ეს საკრებულოსთვის არავის უკითხავს, ამიტომ 35 000 ლარის დავალიენების დაფარვა უნდა მოახდინონ კვლავ აღნიშნული ფონდიდან. იგი ეთანხმება მოსაზრებას, რომ წარმოდგენილ საკითხებს ცალკე ეყაროს კენჭი, გამომდინარე იქედან, რომ არ ჩავარდეს მთლიანი საკითხი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე მოწვეული იყო ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ფინანსური დირექტორი თენგიზ კიკვაძე, სადაც გაიმართა ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა. დეპუტატმა სხდომას წარუდგინა 2015 წლის დეკემბრის საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საოქმო ჩანაწერი, სადაც ფრაქციის თავმჯდომარემ, კახა ურუშაძემ კლუბის აღმასრულებელ და ფინანსურ დირექტორებს(ოთარ ჩხაიძე, თენგიზ კიკვაძე) მიმართა შეკითხვით, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ 1 250 000 ლარიდან გასტუმრებული იქნებოდა თუ არა საბანკო ვალდებულებები, რომელზეც ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ხელმძღვანელების მხრიდან თანხმობა მიიღო. აღმოჩნდა, რომ საბანკო ვალდებულებები დღემდე დაფარული არ არის. დეპუტატი ალექსანდრე სარიშვილი ეთანხმება კოლეგებს, რომ ბანკის დავალიენება გასტუმრებულ უნდა იქნეს, ისევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი რომ არ დაზარალდეს. იგი დაინტერესდა თუ 2016 წლის სექტემბრიდან კლუბის კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელი რატომ არის.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ სამწუხაროდ ყველა ცდილობს მთავარ საკითხს აუაროს გვერდი. მისი თქმით, აქ კლუბისთვის საჭირო კვების და ტრანსპორტირებისთვის მოთხოვნილი თანხები არაფერ შუაშია, საქმე იმაშია, რომ გამოვლინდა სამარცხვინო, გაუგონარი კორუფციის ფაქტი: კერძოდ, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ნასესხები აქვს ფულადი სახსრები მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ -ებიდან (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისგან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლა“) ისე რომ საკრებულოს ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. დეპუტატის თქმით, დაუჯერებელია ყველა ზემოთხსენებული ა(ა)იპების ხელმძღვანელებს ყველას, ერთ დღეს აზრად მოსვლოდათ იდეა, დახმარებოდნენ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ გამგებლის ნებართვის გარეშე. სამარცხვინოა საბავშვო ბაღებისთვის გათვალისწინებული თანხები ფეხბურთს მოვახმაროთ.

საკრებულოს თავმჯდომარემ , **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მოწვეულნი არიან ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ხელმძღვანელები და შესაბამის განმარტებებს ისინი გააკეთებენ.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს რატომ უნდა დააწვეს ტვირთად ბანკის საურავებისა და პროცენტების გადახდა, იგი დაინტერესდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან რა ოდენობის ჯარიმები და საურავები არის გადახდილი საკრედიტო დაწესებულებებისთვის.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საბანკო საურავებსა და პროცენტებზე გადახდილია დაახლოებით 80 000 ლარი.

დეპუტატმა **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, 2015 წელს იყო საჭიროება და ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლამ“ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ გურიას“ ასესხა თანხა, რომელიც 10 დღის ვადაში უკან დაუბრუნდა. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლისათვის“ დასაბრუნებელია მხოლოდ 2011 წელს გასესხებული თანხა.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ მას ზემოთხსენებულ არც ერთი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელისთვის არ მიუმართავს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბს „ლანჩხუთის გურია“-სათვის ფულის სესხების თაობაზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ფინანსურმა დირექტორმა **თენგიზ კიკვაძემ** აღნიშნა, რომ 2016 წლის დასაწყისში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“ მუნიციპალიტეტის გამგეობაში და საკრებულოში შემოვიდა წინადადებით, რომ კლუბს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის მთელი წლის განმავლობაში ესაჭიროებოდა 2 250 000 ლარი. აღნიშნული თანხა ვერ გამოინახა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და მოხდა საფეხბურთო კლუბის დაფინანსება 1 250 000 ლარით. აქედან 100 000 ლარი გადაარიცხულ იქნა შპს „ლანჩხუთისთვის“(ცენტრარული სტადიონი). ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდმა ფუნქციონირება დაიწყო 2016 წლის 1 აპრილიდან. 2016 წლის თებერვალში საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ მიერ გადახდილ იქნა 614 000 ლარის ოდენობის დავალიენებები: კერძოდ, სასამართლოების მიერ დადებულ ყადაღებზე გადახდილ იქნა 55 000 ლარი, 2013 წლის სახელფასო ანაზღაურება -24 000 ლარი, 2014 წლის სახელფასო ანაზღაურება -17 000 ლარი, 2015 წლის - 2008 ლარი, ამის გარდა დაფარულ იქნა საბანკო ვალდებულებები : 153 000 ათასი ლარი სს“ პროგრეს ბანკი“-, 87 000 ათასი ლარი , სს “საქართველოს ბანკი“ (დარჩენილია ძირი თანხა 45 000 ლარი), 2014-2015 წლის სასტუმროს მომსახურების ხარჯი 12 300 ლარი, ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლისთვის“ დაბრუნებულ იქნა 2000 ლარი, რომელიც ნასესხები იყო 2011 წელში. 2015 წლის ელექტროენერჯის ნარჩენი გადასახადი 930 ლარი. ამის შემდგომ კლუბს დარჩა 500 000 ლარი , რომელიც ელემენტარულად კლუბს ფუნქციონირებისათვის ვერ ეყოფოდა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ დარჩენილი 500 000 ათასი ლარი კლუბს უნდა ჰყოფნოდა აპრილის თვემდე ვიდრე ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მოხდებოდა დაფინანსება.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ფინანსურმა დირექტორმა **თენგიზ კიკვაძემ** აღნიშნა, რომ დარჩენილი თანხა კლუბს მთელი წლის განვალობაში ვერ ეყოფოდა. მოხდა მოხლოდ ქართული ფეხბურთის ფონდში გადარიცხული 525 000 ლარის ფონდიდან უკან დაბრუნება, აღნიშნულმა ფონდმა რეალურად ფუნქციონირება დაიწყო აპრილის თვიდან. 2016 წელს საფეხბურთო კლუბს დარჩა 100 000 ლარის სახელფასო დავალიანება . თებერვლის ბოლოს ფონდიდან გადმორიცხება თანხა რომლისგანაც 50 000 ლარი მიიმართება 2016 წლის ფეხბურთელებისა და თანამშრომლების სახელფასო დავალიანებების დასაფარად. დარჩება 2016 წლის სახელფასო დავალიანება 50 000 ლარი. ასევე კლუბის 2016 წლის დავალიანებებებია : 100000 ლარი მომწოდებლების, 28 000 ლარი ლიცენზირებისათვის საჭირო ორი აუდიტის ჩასატარებლად და სხვა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ალექსანდრე სარიშვილი** დაინტერესდა, თუ აღნიშნული დავალიანების გასტუმრება მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა , მაშინ რაღა საჭიროა აღნიშნული ფონდის არსებობა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ფინანსურმა დირექტორმა **თენგიზ კიკვაძემ** განმარტა, რომ ეს თანხა იმიტომ არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელი , ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. აღნიშნულ ფონდში მუნიციპალიტეტიდან გადარიცხული ფულადი სახსრების მხოლოდ გატარება ხდებოდა და შემდეგ მისი უკან გადმორიცხვა, ხოლო ამის შემდგომ როცა უნდა მოხდეს უშუალოდ ფონდიდან დაფინანსების მიღება ,თითოეული თეთრი მკაცრად არის განსაზღვრული რას უნდა მოხმარდეს და კლუბებს ახალი სავალო ვალდებულების აღება შეზღუდული აქვთ. მისი თქმით, დღეის მდგომარეობით კლუბს დავალიანება აქვს 633 000 ლარი ,აქედან 200 000 ლარი არის 2016 წლის ვალი, ხოლო დანარჩენი წინა წლების დავალიანებები. აქედან 72 000 ლარი შეადგენს გასული წლების საპრემიო დავალიანებებს.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ გასული წლების პრემიალური თანხები არის ჩამოსაწერი, ვინაიდან კლუბს მისი ანაზღაურების საშუალება არ აქვს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ პირველ რიგში საბანკო ვალდებულება გასტუმრებულ უნდა იქნას, ამის შემდგომ საკითხის შესწავლა საფუძვლიანად უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის მიერ. უნდა დაგინდეს, მინიციპალიტეტის ბიუჯეტს აქვს თუ არა ვალი რეალურად და თუ აქვს რა ოდენობის თანხაზეა საუბარი და შემდეგ უნდა მოხდეს ვალის გადახდის გზების ძიება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საბანკო ვალდებულებების დაფარვასთან ერთად თუ დეპუტატების მხარდაჭერა იქნება, უნდა მოხდეს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ იმ დავალიანების გასტუმრება, რომელის ვალდებულებაც გააჩნია საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი ფინანსური თვალსაზრისით იმდენად ბუნდოვანია, აუცილებლად საჭიროებს შესამაბისი სამსხურის მიერ საფუძვლიან შესწავლას. მისი თქმით, სხდომაზე საუბარი უნდა იყოს საბავშვო ბაღებზე, ვინაიდან 2017 წლის ოქტომბრიდან ყველა საბავშვო ბაღი ავტორიზებული ხდება. იმ თემებზე, თუ რომელიმე სოფელში არ არის საბავშვო ბაღი, არსებულ ბაღებში სდანიდარტები დასახვეწია და ა.შ (რომელიც ყველაზე უფრო პროირიტეტურია) და არა ფეხბურთზე. ამიტომ ბაღებს პირიქით უნდა გავუზარდოთ დაფინანსება არა თუ მოვაკლოთ.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ფინანსურმა დირექტორმა **თენგიზ კიკვაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ურთიერთობა აღარ ექნება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, რადგან დაფინანსება ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან განხორციელებდა. მისი თქმით, მოთხოვნილი კვების (23 000) და ტრანსპორტირების (15 000) დავალიანებები, რომელიც კლუბს გააჩნია, დაუჯდება დაახლოებით 80 000 ლარი, რადგან გადაუხდელობის შემთხვევაში დაჩქარებული წესით სააღსრულებო ბიუროს მიერ ყადაღა ექნება დადებული. თუ რაიმე ფინანსური დანაშაული არის ჩადენილი მისი მუშაობის პერიოდში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ში მისი თქმით ის არ გაექცევა პასუხისმგებლობას და წარადგენს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და დაადასტურებს ყველა იმ ციფრს, რომელზედაც მას არაერთხელ უსაუბრია.

დეპუტატმა **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ საკითხი უნდა შეისწავლოს შიდა აუდიტის სამსახურმა, ამის შემდგომ კი მოწვეულ უნდა იქნეს რიგგარეშე საკრებულოს სხდომა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ფინანსურმა დირექტორმა **თენგიზ კიკვაძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე საკრებულოს სხდომის მოწვევა დროში გაიწელება, აქედან გამომდინარე გარდაუვალი გახდება ყადაღის დადება. მისი თქმით, თუ კითხვები არსებობს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“თან დაკავშირებით საკითხს სწავლობს ანტიკოროფციული სამსახური და შესაძლებელია მიმართოთ თუ რატომ არის წარმოშობილი დავალიანებები. 2011-2012 წლებში რა მიზნობრიობით მოხდა სესხების აღება, რატომ იყო დაკრედიტებული პრემიები, რატომ იყო 500 ლარიანი ხელშეკრულებები გაფორმებული 1000 ლარად და სხვა უამრავი საკითხები.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, თუ როდის იყო

ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანტიკორუფციული სამსახურისთვის მიემართოს, ამისთვის არსებობს შიდა აუდიტის სამსახური, რომელმაც საფუძვლიანად უნდა გამოიკვლიოს აღნიშნული საკითხი.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძე** დაინტერესდა თუ რატომ უნდა აგოს პასუხი მუნიციპალიტეტმა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ იმ პერიოდის ვალდებულებებზე. იგი დაფინანსებისთვის გადაეცა ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდს. ის დაეთანხმა დეპუტატებს რომ მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტმა საფუძვლიანად შეისწავლოს იმ თანხების მოძრაობა, რომელიც ა(ა)იპ-ებიდან იქნა გადამისამართებული საფეხბურთო კლუბში. ასევე დაინტერესდა თუ ა(ა)იპ-ებმა რა სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული თანხები, რომელიც მათთვის ისედაც არ არის საკმარისი. დეპუტატის თქმით, ამაზე პასუხისმგებლობა ვიღაცამ უნდა აიღოს.

ფრაქცია ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის თავმჯდომარემ, **ელგუჯა ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ შესწავლილ იქნას ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურიას“ ფინანსური საქმიანობა 2015-2016 წლებში.

დეპუტატი **დავით ჩხარტიშვილი** დაინტერესდა, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურიას“ ჰქონდა თუ არა სასესხო ვალდებულების აღების უფლება განეხორციელებინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნებართვის გარეშე.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ აღნიშნული სასესხო ვალდებულებები კლუბს აღებული აქვს 2011-2012 წლებში თავისი დებულებიდან გამომდინარე, რომელსაც თან ერთვის გამგებლის თანხმობის წერილები. (2011 წელს -გიორგი გოგუაძის თანხმობის წერილი, 2012 წელს კახაბერ ასკურავას თანხმობის წერილი).

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე სარიშვილი დაინტერესდა** 2015 წელს გამოყოფილი 1 25000 ლარიდან გადახდილი უნდა ყოფილიყო თუ არა პირველ რიგში საბანკო ვალდებულებები.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ აღნიშნული თანხიდან პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო პირველ რიგში საბანკო ვალდებულებების გასტუმრება, რომელიც არის დარღვეული. რაც შეეხება დამატებით ვალდებულებების აღებას, როცა მუნიციპალიტეტის საკრებულო რომელიმე ა(ა)იპ-ის დაუმტკიცებს კონკრეტულ ასიგნებას, იგი ვალდებულია პასუხისმგებლობა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში აიღოს.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ფინანსური დირექტორის მიერ წარმოდგენილი ციფრები კლუბის დავალინების თაობაზე მათემატიკურად არ ჯდება სიზუსტეში. მისი თქმით საბანკო ვალდებულების გადახდას ეთანხმება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თითქმის ყველა წევრი, ხოლო დანრჩენი მოთხოვნილ თანხაზე თანხმობას მიიღებენ თუ საკითხის შესწავლის შემდგომ დადგინდება, რომ დავალინებები მუნიციპალიტეტის გადასახდელი იქნება.

დეპუტატმა **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ ასევე დადგინდეს 2011-2012 წლებში აღებული სასესიო ვალდებულებების საჭიროება და მიზნობრიობა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს საბანკო დავალიენების უპირობოდ დაფარვა, ამის შემდგომ აუდიტის დაკსვნის შემდგომ მოხდეს ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დავალიანების გასტუმრება.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლადო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ კლუბს ამ მომენტისთვის გააჩნია დაახლოებით 700 000 ათასი ლარი დავალიანება, აქედან 500 000 ლარი არის უპირობოდ გადასახდელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** მიმართა დეპუტატებს თუ მხარდაჭერა იქნებოდა ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრისთვის გამოეყოთ 10 000 ლარი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს საბანკო დავალიენების უპირობოდ დაფარვა, ამის შემდგომ აუდიტის დაკსვნის შემდგომ მოხდეს ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დავალიენების გასტუმრება.

დეპუტატმა **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ იგი მხარს დაუჭერს საკითხს იმ შემთხვევაში, თუკი ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ში გამოსაკვლევ ფინანსურ მდგომარეობას ანტიკოროფციული სამსახური ბოლომდე მიიყვანს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ როგორც გამოიკვეთა დეპუტატების მხრიდან არის თანხმობა, რომ საბანკო ვალდებულება იქნას გასტუმრებული 65 000 ლარამდე, ხოლო დარჩენილი საკითხების განხილვა გაგრძელდეს როცა დეპუტატების მიერ დაყენებულ საკითხებს შეისწავლის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახური. მან ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილებას სჭირდება გამგებლის თანხმობა და ამის შესახებ მან მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რაზეც მისგან მიიღო თანხმობა.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე: 26 დეპუტატი, წინააღმდეგი 4 დეპუტატი (ნონა მურვანიძე, დარეჯან ბურჭულაძე, ელგუჯა ჩხაიძე, რომან ბიწაძე)

მიღებულ იქნა დადგენილება N3 (17.02.2017 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: . „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობას წერილით მიმართა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლადო გვარჯალაძემ, რომელშიც ის ითხოვს, რომ საფეხბურთო კლუბის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე არსებული ორი შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი კორპუსი, კვების ბლოკი) სარგებლობის უფლებით კლუბისთვის გადაცემა. ვინაიდან უზრუნველყოფილ იქნას ელექტროენერჯისა და გაზის ხარჯების გადახდა. აქედან გამომდინარე აუცილებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან გამგებელს მიეცეს თანხმობა ამ გადაწყვეტილების მიღების.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, კლუბის გაკოტრების, ან გასხიების შემთხვევაში აღნიშნული ქონება დაეკარგებოდა თუ არა მუნიციპალიტეტს.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურიამ**, განმარტა რომ , ეს ქონება წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას, აქ მხოლოდ საუბარია მის დროებით სარგებლობით გადაცემაზე იმისთვის რომ იფუნქციონიროს საფეხბურთო კლუბმა, ქონება ნებისმიერ შემთხვევაში დარჩება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული ქონების დროებით სარგებლობით გადაცემა არ შეიძლება, ვინაიდან , ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ აქვს კრედიტორების მიმართ დიდი დავალიანებები. აქედან გამომდინარე დიდი ალბათობაა აღნიშნული ქონება დაყადაღდეს.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზა მისი და წინა მოწვევის პარლანტის ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატის თემურ ჩხაიძის აქტიურობით მოხერხდა მთავრობასთან შეთანხმება და გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზა საკუთრებაში გადმოეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს. რის შემდეგაც მოხდა მისი კეთილმოწყობა. აქედან გამომდინარე მის გასხვისებას ან დაკარგვას არავინ აპირებს იგი დარჩება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზის მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით უკვე გადაცემულ აქვს წინა წლებში საკრებულოს თანხმობით. საუბარია კლუბმა რომ დაფაროს კომუნულარუ ხარჯები , ეს ხაზინის პრინციპით უნდა

განხორცილედეს. აქ მხოლოდ საუბარია მხოლოდ სარგებლობის უფლებით გაცემაზე, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებიდან არ გადის და აქედან გამომდინარე ა(ა)იპ-ის დავალიანებები აღნიშნულ ქონებასთან მიმართებაში შემხებლობაში ვერ დადგება.


საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** გააუღერა ინფორმაცია რომ იგეგმება ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ შ.პ.ს.-ედ გადაკეთება, რომელიც ა(ა)იპ-ისგან განსხვავებით მომგებიანი ორგანიზაციაა სხვა დაბეგვრის ფუნქციები აქვს და ვერ მიწის გადასახადისგან გაანთავისუფლებს მუნიციპალიტეტს და ვერც ქონების გადასახადისგან.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 4 დეპუტატი (ნონა მურვანიძე, დარეჯან ბურჭულაძე, ელგუჯა ჩხაიძე, რომან ბიწაძე)
მიღებულ იქნა განკარგულება N11 (17.02. 2017 წელი).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო